სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელის მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს რეალიზებული ავტომობილების თვითღირებულებას, სათადარიგო ნაწილების თვითღირებულებას და სხვა სერვისის მიწოდებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

შპს ელ თი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ხარჯები (გაგრძელება)

პერიოდის მიწოდების ხარჯის არსებითი ნაწილი მოიცავს ამ პროდუქციის რეალიზაციაზე ხელფასის, საწვავის, მარკეტინგულ და სხვა ხარჯებს.

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

შპს ელ თი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 3 - ძირითადი საშუალებები

საწყისი ღირებულება

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა-ნაგებობა	ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა და მოწყობილობები	მანქანა- დანადგარები	სხვა ძირითადი საშუალებები
ბალანსი 31/12/2018	3,906,560	-	5,841,904	346,606	356,477	771,630	744,974
დანამატები	-	-	-	19,658	19,605	5,541	82,858
აქტივების ჩამოწერა	-	-	-	-	(2,527)	(3,395)	(6,690)
ცვეთა პერიოდისათვის	-	-	(297,681)	(65,174)	(83,171)	(87,549)	(215,939)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-	579	28	705
ბალანსი 31/12/2019	3,906,560	-	5,544,186	301,090	290,963	686,255	605,907
დანამატები	-	2,936	4,335	2,446	61,206	-	23,530
აქტივების ჩამოწერა	-	(2,936)	-	-	(14,355)	-	-
ცვეთა პერიოდისათვის	-	-	(298,375)	(65,977)	(90,123)	(87,429)	(199,131)
კორექტირება	-	-	-	-	-	-	34,493
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-	252	-	-
ბალანსი 31/12/2020	3,906,560	-	5,250,183	237,559	247,943	598,826	464,799
ბალანსი 31/12/2019	3,906,560	-	5,544,186	301,090	290,963	686,255	605,907
ბალანსი 31/12/2020	3,906,560	-	5,250,183	237,559	247,943	598,826	464,799

შენიშვნა 4 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე აღრიცხულია სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს სარეალიზაციოდ განკუთვნილ ავტომობილებს და სათადარიგო ნაწილებს:

	31.12.2019	31.12.2020
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5,378,487	2,031,287
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5,378,487	2,031,287

შენიშვნა 5 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31.12.2019	31.12.2020
სავაჭრო მოთხოვნები	298,541	410,897
მომწოდებლებთან გადახდილი ავანსები	68,013	109,492
სულ მიმდინარე მოთხოვნები	366,555	520,389

შენიშვნა 6 - ფული და ფულადი ექვივალენტები

პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არსებული ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ეროვნულ და უცხოურ ვალუტას საბანკო ანგარიშებზე.

	31.12.2019	31.12.2020
ლარი საბანკო ანგარიშებზე	41,014	214,463
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	5,567	209,022
ნაღდი ფული სალაროში	3,420	15,430
ჯამურად ნაღდი ფული სალაროში	3,420	15,430
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	50,000	438,915

შენიშვნა 7 - გრძელვადიანი სასესხო და მათი მიმდინარე ნაწილი

პერიოდის ბოლოს ორგანიზაციის ბალანსზე არსებული გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები მოიცავს უცხოურ ვალუტაში არსებულ ვალდებულებებს რეზიდენტ და არა რეზიდენტი საწარმოებთან.

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადაიანობა	31.12.2019	31.12.2020
Novitas	USD	0.5%	26.04.2025	4,000,442	3,915,537
Novitas	USD	0.5%	25.07.2025	4,014,780	4,587,240
Novitas	USD	0.5%	23.04.2026	1,147,080	1,310,640
სს თიბისი ბანკი	USD	6%	17.04.2025	5,308,335	4,569,722
სულ გრძელვადიანი სესხები				14,470,636	14,383,139

2019 წლის საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიას ასევე გააჩნდა მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება - თიბისი ბანკის საკრედიტო ხაზი რომელიც სრულად დაფარულია 2020 წელს.

შენიშვნა 8 - სავაჭრო ვალდებულებები

2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	31.12.2019	31.12.2020
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	2,819,861	997,614
გადასახდელი ხელფასები	24,604	83,691
მიღებული ავანსები	684,535	1,093,734
სულ მიმდინარე ვალდებულებები	3,529,000	2,175,039

შენიშვნა 9 - წმინდა შემოსავალი

პერიოდის შემოსავლები მოიცავს ავტომობილების და სათადარიგო ნაწილების რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებს და მასთან დაკავშირებულ თვითღირებულების ხარჯებს

	31.12.2019	31.12.2020
შემოსავალი ავტომობილების რეალიზაციიდან	47,210,879	29,547,824
შემოსავალი სათადარიგო ნაწილების რეალიზაციიდან	1,567,652	2,093,151
სხვა შემოსავლები	2,185,983	4,503,490
გაყიდული ავტომობილების და სათადარიგო ნაწილების თვითღირებულება	(45,510,160)	(32,144,678)
წმინდა შემოსავალი	5,454,354	3,999,786

შენიშვნა 10 - მიწოდების ხარჯი

	31.12.2019	31.12.2020
რეკლამის და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	167,802	98,579
საწვავის ხარჯი	14,605	9,582
მიწოდებასთან დაკავშირებული ხელფასის ხარჯი	1,017,093	979,607
სხვა მიწოდების ხარჯი	4,223	3,402
სულ მიწოდების ხარჯი	1,203,723	1,091,169

შენიშვნა 11 - ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

	31.12.2019	31.12.2020
საპენსიო ხარჯი	28,803	33,253
კომუნალური ხარჯი	79,932	76,691
მივლინების ხარჯი	26,591	180
საგადასახადო ხარჯი	350,298	98,046
დაზღვევის ხარჯი	30,359	42,188
IT მომსახურების ხარჯები	77,418	81,886
კომუნიკაციის ხარჯი	24,180	21,437
აუდიტის და საკონსულტაციო ხარჯი	46,629	26,195
ბანკის ხარჯი	16,157	-
სამეურნეო ხარჯი	171,059	-
სხვა საერთო ხარჯი	383,064	225,947
სულ ადმინისტრაციული ხარჯი	1,234,491	605,822

რისკის მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში. კომპანიის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. ორგანიზაციის გაყიდვების პოლიტიკა მოიცავს სარეალიზაციო საქონელზე შესაბამისი საკომპენსაციო თანხების ავანსად მიღებას და მხოლოდ შემდგომ აქტივზე საკუთრების უფლების გადაცემას. აღნიშნული პოლიტიკით მინიმუმამდეა შემცირებული საკრედიტო რისკების წარმოქმნის ალბათობა. ხოლო ისეთ მომსახურებაზე რომელზეც გათვალისწინებულია კონსიგნაციის პერიოდი და შესაბამისი მოთხოვნების წარმოქმნის ალბათობა, დანერგილია არა ერთი კონტროლი რომელიც მინიმუმამდე ამცირებს ვადაგადაცილებული მოთხოვნების წარმოქმნის ალბათობას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჰქირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის. საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ვალდებულებები მოიცავს მოკლევადიან კრედიტორულ ვალდებულებებს, რომლებთანაც მენეჯმენტის გააჩნია სხვადასხვა ვადიანობის კონსიგნაციის პირობები მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის წარმოქმნილი ერთ წელზე მეტი ვადით. ხოლო გრძელვადიან სასესხო ვალდებულებებზე ხდება შესაბამისი ფულადი სახსრების ანალიზი და ვალდებულების გეგმიურად დაფარვა რის გამოც რისკები მინიმალურია

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. კომპანია მიღებული საქონლის და მომსახურების შესაბამისად ანგარიშსწორებას ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. 2020 წელს დოლარის და ევროს გაცვლითი კურსის გამყარებამ კომპანიაში წარმოქმნა ფინანსური ზარალი საკურსო სხვაობიდან ვინაიდან კომპანიის სავალუტო სახსრების არსებითი ვალდებულებები მოიცავს უცხოურ ვალუტაში წარმოქმნილ სასესხო ვალდებულებებს და სავალუტო რისკები გავლენას ახდენს ანგარიშგებაზე, ვინაიდან კომპანიას ეზრდება ვალდებულებები და მასთან ერთად ლიკვიდურობის რისკებიც.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანიის უცხოური ვალუტის გადაცვლის კურსის რისკი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფულადი აქტივები რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს არ წარმოშობს.

შპს ელ თი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

სავალუტო რისკი (გაგრძელება)

31 დეკემბერი 2020			
GEL	USD 1 = 3.2766 GEL	EUR 1 = 4.0233 GEL	
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	65,998	372,917	-
სავაჭრო მოთხოვნები	7,377	403,521	-
გადახდილი ავანსები	19,221	59,537	30,734
სულ ფინანსური აქტივები	92,596	835,975	30,734
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	136,342	944,290	674
მიღებული ავანსები	231,114	862,620	-
გრძელვადიანი სესხები	-	14,383,139	-
გადასახდელი პროცენტები	-	42,308	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	367,455	16,232,357	674
სულ წმინდა პოზიცია	(274,860)	(15,396,382)	30,060
31 დეკემბერი 2019			
GEL	USD 1 = 2.8766 GEL	EUR 1 = 3.2095 GEL	
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	44,433	5,567	-
სავაჭრო მოთხოვნები	84,376	214,166	-
გადახდილი ავანსები	34,877	29,452	3,684
სულ ფინანსური აქტივები	301,057	249,185	3,684
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	100,673	2,734,092	9,699
მიღებული ავანსები	107,452	577,083	-
მოკლევადიანი სესხები	-	574,949	-
გრძელვადიანი სესხები	-	14,470,636	-
გადასახდელი პროცენტები	-	118,708	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	183,521	18,475,468	9,699
სულ წმინდა პოზიცია	117,537	(18,226,283)	(6,015)

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ორგანიზაციის ვალდებულებების არსებითი ნაწილი წარმოქმნილია უცხოურ ვალუტაში. ქვეყნის ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებები არსებით გავლენას ახდენს საანგარიშო პერიოდის ფინანსურ შედეგებზე, რის გამოც სავალუტო რისკები მაღალია. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ ტრანზაქციებს; შესაბამისად, მასზე მოქმედებს რისკი, რომელიც გაცვლითი კურსის მერყეობისას წარმოიქმნება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 20%-ით გაძვირება/გაიაფების მიმართ 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი ჩატარდა საანგარიშო დღეს შესაბამის ვალუტებში დენომინირებულ ფულად ერთეულებზე.

სავალუტო რისკი (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბერს:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL
	20%	- 20%	20%	-20%
მოგება/ზარალი გადასახადებამდე:	(3,079,276)	3,079,276	6,012	(6,012)

2019 წლის 31 დეკემბერს:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL
	20%	- 20%	20%	-20%
მოგება/ზარალი გადასახადებამდე:	(3,645,257)	3,645,257	(1,203)	1,203

პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო დავები და საჩივრები. ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, კომპანიას საანგარიშო პერიოდის ბოლოს და არც შემდგომ პერიოდში არ გააჩნია სასამართლო დავები.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

- (ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);
- (ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;
- (გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;
- (დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმადლესი რანგის ხელმძღვანელობა;
- (ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

საანგარიშო პერიოდში არ არის იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები, ხოლო საანგარიშო პერიოდში მმართველი დირექტორის მიერ გამომუშავებული ანაზღაურება შეადგენდა 448,390 ლარს.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში კომპანიაში დაინიშნა კამერალური საგადასახადო შემოწმება, რომლის შედეგებიც ჯერ არ არის ცნობილი ანგარიშგების გამოცემის თარიღისათვის.

ასევე ბალანსის შემდგომ პერიოდში ქვეყანაში კვლავ არსებობს კოვიდ პანდემიის გავრცელების პრევენციის მიზნებისათვის დაწესებული შეზღუდვები, რაც უარყოფითად აისახება ბიზნეს სექტორზე. პანდემიის გავლენის სრულად განსაზღვრა რთულია, მაგრამ ჩვენ არ მოველით რომ მისგან დამდგარი შედეგები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს კომპანიის ოპერაციებზე.

მმართველობითი ანგარიში

შპს ელ თი დაფუძნდა 2017 წლის 25 აპრილს. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შვეიცარიის მოქალაქე რაუფ ხალილოვი. მმართველობითი ორგანო წარმოდგენილია სამეთვალყურეო საბჭოს სახით, რომლის სათავეშია რაუფ ხალილოვი, ხოლო წევრები არიან საქართველოს მოქალაქე ლაშა ლომიძე (კომპანიის დირექტორი) და იაპონიის მოქალაქე აკიჰისა ვატანაბე. შპს ელ თი წარმოადგენს შპს ტოიოტა კავკასიის ოფიციალურ სადილეროს საქართველოში და სარგებლობს ლექსუსის ბრენდის ავტომობილების ექსკლუზიური რეალიზაციის უფლებით. კომპანია საავტომობილო ბაზარზე წარმოდგენილია „ლექსუს თბილისის“ საფირმო სახელწოდებით. მისი იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: აღმაშენებლის ხეივანი N160, 0131, თბილისი, საქართველო.

ავტორიზებული სადილეროსთვის მინიჭებული უფლებით ლექსუს თბილისის საქმიანობა მოიცავს ლექსუსის ბრენდის ავტომობილების, ლექსუსის და ტოიოტას ბრენდის ორიგინალი აქსესუარებისა და სათადარიგო ნაწილების რეალიზაციას და მაღალი ხარისხის ავტო მომსახურების გაწევას. შოურუმში ოფიციალურად 2018 წლის 10 ოქტომბერს გაიხსნა და სრულად იზიარებს ლექსუსის ბრენდის ფილოსოფიას, რომელიც „ომოტენაში“-ს ანუ იაპონური სტუმართმოყვარეობის ტრადიციასა და დაფუძნებული. მომხმარებელთან ურთიერთობა სტუმართან ურთიერთობის ანალოგიურია, როდესაც წინასწარ ხდება მისი საჭიროებების განჭვრეტა, მომსახურების გაწევისას ყველა დეტალისადმი ყურადღება და გულწრფელი მადლიერების გამოხატვა მასპინძლის მხრიდან. მომსახურების სტანდარტი, გაყიდვების და გაყიდვების შემდგომი მომსახურების ხარისხი, სადილეროს ვიზუალური და ტექნიკური მდგომარეობა - ეს ის ფაქტორებია, რომლებიც წელიწადში 4-ჯერ გადის შიდა აუდიტს. 2020 წლის მონაცემებით, ლექსუს თბილისი მთელი ევროპის მასშტაბით ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლობად დასახელდა და 5 ვარსკვლავიანი შეფასება მიიღო უკვე მეორედ თავისი არსებობის მანძილზე.

ლექსუს თბილისის ცენტრი მომხმარებლებს სთავაზობს კროსოვერებს, სედანებს, მაღალი გამავლობის ავტომობილებსა და სპორტულ კუპებს. 5 მოდელი ჰიბრიდული ვერსიითაც არის ხელმისაწვდომი. ცენტრის ტერიტორიაზე ასევე განლაგებულია ლექსუსის ავტორიზებული სერვის-ცენტრი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური დანადგარებით და დაკომპლექტებულია ტოიოტას სერტიფიცირებული ტექნიკოსებით.

სუბიექტის განვითარების გეგმები

შპს ელ თი მოქმედებს იაპონური ბიზნესის ფილოსოფიის „კაიზენი“-ს პრინციპით, რაც გულისხმობს მუდმივ სწრაფვას განვითარებისკენ. კომპანიის მიზანია პროცესების დახვეწის შედეგად საოპერაციო საქმიანობის ეფექტურობის ამაღლება, რაც მოითხოვს მთელი გუნდის ჩართულობას. ბიზნეს პროცესების ეფექტური მართვა პირდაპირ არის დაკავშირებული მომსახურების ხარისხის კიდევ უფრო ამაღლებასთან და შემოსავლების ზრდასთან. არსებობის პირველივე სრულ კალენდარულ წელს (2019) კომპანიის შემოსავალმა 51მლნ ლარს გადააჭარბა. მზარდი დინამიკა შეინიშნება საავტომობილო ბაზრის პრემიუმ სეგმენტში, სადაც სულ უფრო იხვეწება და იზრდება მომხმარებელთა მოთხოვნები.

კომპანიის წინსვლისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს კვალიფიციური და მოტივირებული გუნდი. გაყიდვების და ტექნიკური ნაწილის თანამშრომლებს პერიოდულად უტარდებათ კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები და გამოცდები.

კომპანიის ფინანსურ რესურსებს მეტწილად წარმოადგენს საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც ზრდის ტენდენციით ხასიათდება. აღსანიშნავია საბანკო სექტორიდან მიღებული დაფინანსება გრძელვადიანი კრედიტის სახით, რომელიც კომპანიას დასჭირდა საწყის ეტაპზე მშენებლობის პროცესში. კომპანიაში თვიდან თვემდე უზრუნველდება ავტოსფეროსთვის წამყვანი ფინანსური მაჩვენებელი Absorption Ratio, რომელიც გულისხმობს კომპანიის შესაძლებლობას დააფინანსოს მიმდინარე საოპერაციო ხარჯები ავტომობილების გარდა მიღებული შემოსავლიდან.

აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები

შპს ელ თი-ს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის (IFRS for SMEs) შესაბამისად. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესის შესაბამისად. კომპანია მუდმივად აკონტროლებს ფინანსურ და არა ფინანსურ მაჩვენებლებს, რათა მენეჯმენტი იყოს სრულად ინფორმირებული და შემდგომი გადაწყვეტილებები მიღებულ იქნას შესაბამისი სტრატეგიით.

კომპანიის მენეჯმენტი ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს აფასებს შემდეგ ფინანსურ მაჩვენებლებს:

- კომპანიის მომგებიანობა
- მარაგების ბრუნვაძობა
- ფულადი ნაკადების მოძრაობა
- საკრედიტო რისკები
- ლიკვიდურობის რისკები
- არა ფინანსურ მაჩვენებლებს:
- კლიენტთა კმაყოფილება
- სერვისის მომსახურების ხარისხი

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში მოღვაწეობა გარკვეულწილად რისკის მატარებელია. სააღრიცხვო, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე და შესაბამისად ფინანსურ მდგომარეობაზე, განსაკუთრებით ჩვენი მსგავსი კომპანიისთვის, რომლის კაპიტალის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს საბანკო სექტორიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი. აქვე აღსანიშნავია სავალუტო რისკიც, ვინაიდან მოზიდული დაფინანსება უცხოურ ვალუტაშია დაფიქსირებული და ეროვნული ვალუტის გაუფასურება პირდაპირ კავშირში იქნება როგორც საპროცენტო ხარჯის, ასევე საკუროს სხვაობით გამოწვეული ხარჯის ზრდასთან.

კომპანიის ფუნქციონირებისთვის მთავარ რისკს წარმოადგენს პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ლექსუსის ბრენდის ავტორიზებული სადილეროს უფლებების დაკარგვა, თუმცა თუ გავითვალისწინებთ ლექსუს თბილისის მიერ მიღწეულ წარმატებებს, ამ რისკის წარმოშობის საფუძველი არ არსებობს.

Covid19-ის პანდემიის გავრცელების გავლენა კომპანიის ბალანსის შემდგომ პერიოდში განხორციელებულ ოპერაციებზე

2020 წელს გავრცელებული ახალი კორონა ვირუსით გამოწვეული პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე გამოვიარეთ ბიზნეს საქმიანობების შეზღუდვები, საგანგებო მდგომარეობა, უამრავი რეგულაცია. მთელი წლის განმავლობაში კომპანია ზრუნავდა იმაზე, რომ თანამშრომლებს შეძლებისდაგვარად დისტანციური რეჟიმით ემუშავათ და მაქსიმალურად ყოფილიყო დაცული უსაფრთხოების ნორმები. 2 თვიანი შეზღუდული მუშაობის პირობებშიც კი, კომპანიამ შეძლო თანამშრომლებისთვის ხელფასების სრულად ანაზღაურება და საკრედიტო ვალდებულებების ვადებში დაფარვა. წლის ჭრილში კომპანიის შემოსავალი საგრძნობლად შემცირდა. რა თქმა უნდა დიდია პანდემიით გამოწვეული შედეგები არა მარტო 2020 წლისთვის, არამედ შემდგომი პერიოდებისთვისაც. შეზღუდული საწარმოო პროცესების გამო შემცირებულია ქარხნიდან ავტომობილების იმპორტი, რაც შესაბამისად უარყოფითად მოქმედებს კომპანიის შემოსავლიანობაზე. ვვარაუდობდით, რომ 2021 წელს მოწოდებასთან დაკავშირებული პრობლემები მოგვარდებოდა, მაგრამ თავს იჩენს ახალი დაბრკოლებები, როგორიცაა აზიური ქვეყნებიდან წარმოებისთვის საჭირო ნაწილების შეზღუდული მოცულობები, რაც თავისებურ გავლენას იქონიებს მომდევნო პერიოდზეც. მიუხედავად იმისა, რომ სერვისის და სათადარიგო ნაწილების მიმართულებით კომპანია ჩვეულ აქტიურ რეჟიმში აგრძელებს მუშაობას, მომგებიანობაზე უმთავრეს მოქმედ ფაქტორად მაინც ავტომობილების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი რჩება. საწარმოო პროცესების შეზღუდული ფუნქციონირება გლობალურ დონეზე მოახდენს გავლენას ავტო სფეროში მოქმედი კომპანიების შემოსავლიანობაზე და ეს ყველაფერი 2022 წლის ფინანსურ მაჩვენებლებში აისახება.

აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები

შპს ელ თი-ს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის (IFRS for SMEs) შესაბამისად. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესის შესაბამისად. კომპანია მუდმივად აკონტროლებს ფინანსურ და არა ფინანსურ მაჩვენებლებს, რათა მენეჯმენტი იყოს სრულად ინფორმირებული და შემდგომი გადაწყვეტილებები მიღებულ იქნას შესაბამისი სტრატეგიით.

კომპანიის მენეჯმენტი ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს აფასებს შემდეგ ფინანსურ მაჩვენებლებს:

- კომპანიის მომგებიანობა
- მარაგების ბრუნვაობა
- ფულადი ნაკადების მოძრაობა
- საკრედიტო რისკები
- ლიკვიდურობის რისკები
- არა ფინანსურ მაჩვენებლებს:
- კლიენტთა კმაყოფილება
- სერვისის მომსახურების ხარისხი

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში მოღვაწეობა გარკვეულწილად რისკის მატარებელია. სააღრიცხვო, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე და შესაბამისად ფინანსურ მდგომარეობაზე, განსაკუთრებით ჩვენი მსგავსი კომპანიისთვის, რომლის კაპიტალის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს საბანკო სექტორიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი. აქვე აღსანიშნავია სავალუტო რისკიც, ვინაიდან მოზიდული დაფინანსება უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული და ეროვნული ვალუტის გაუფასურება პირდაპირ კავშირში იქნება როგორც საპროცენტო ხარჯის, ასევე საკურსო სხვაობით გამოწვეული ხარჯის ზრდასთან.

კომპანიის ფუნქციონირებისთვის მთავარ რისკს წარმოადგენს პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ლექსუსის ბრენდის ავტორიზებული სადილეროს უფლებების დაკარგვა, თუმცა თუ გავითვალისწინებთ ლექსუს თბილისის მიერ მიღწეულ წარმატებებს, ამ რისკის წარმოშობის საფუძველი არ არსებობს.

Covid19-ის პანდემიის გავრცელების გავლენა კომპანიის ბალანსის შემდგომ პერიოდში განხორციელებულ ოპერაციებზე

2020 წელს გავრცელებული ახალი კორონა ვირუსით გამოწვეული პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე გამოვიარეთ ბიზნეს საქმიანობების შეზღუდვები, საგანგებო მდგომარეობა, უამრავი რეგულაცია. მთელი წლის განმავლობაში კომპანია ზრუნავდა იმაზე, რომ თანამშრომლებს შეძლებისდაგვარად დისტანციური რეჟიმით ემუშავათ და მაქსიმალურად ყოფილიყო დაცული უსაფრთხოების ნორმები. 2 თვიანი შეზღუდული მუშაობის პირობებშიც კი, კომპანიამ შეძლო თანამშრომლებისთვის ხელფასების სრულად ანაზღაურება და საკრედიტო ვალდებულებების ვადებში დაფარვა. წლის ჭრილში კომპანიის შემოსავალი საგრძნობლად შემცირდა. რა თქმა უნდა დიდია პანდემიით გამოწვეული შედეგები არა მარტო 2020 წლისთვის, არამედ შემდგომი პერიოდებისთვისაც. შეზღუდული საწარმოო პროცესების გამო შემცირებულია ქარხნიდან ავტომობილების იმპორტი, რაც შესაბამისად უარყოფითად მოქმედებს კომპანიის შემოსავლიანობაზე. ვვარაუდობდით, რომ 2021 წელს მოწოდებასთან დაკავშირებული პრობლემები მოგვარდებოდა, მაგრამ თავს იჩენს ახალი დაბრკოლებები, როგორცაა აზიური ქვეყნებიდან წარმოებისთვის საჭირო ნაწილების შეზღუდული მოცულობები, რაც თავისებურ გავლენას იქონიებს მომდევნო პერიოდზეც. მიუხედავად იმისა, რომ სერვისის და სათადარიგო ნაწილების მიმართულებით კომპანია ჩვეულ აქტიურ რეჟიმში აგრძელებს მუშაობას, მომგებიანობაზე უმთავრეს მოქმედ ფაქტორად მაინც ავტომობილების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი რჩება. საწარმოო პროცესების შეზღუდული ფუნქციონირება გლობალურ დონეზე მოახდენს გავლენას ავტო სფეროში მოქმედი კომპანიების შემოსავლიანობაზე და ეს ყველაფერი 2022 წლის ფინანსურ მაჩვენებლებში აისახება.

